პარასკევი, 1918 წ. გიორგობისთვის 15 № 218
წელიწადი მეოთხე

პარასკევი. 1918 წ. გიორგობისთვის 15 № 218
ფასი—თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე
[illegible] ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა [illegible]ვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან [illegible] საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

დროებით ზავის მიხედვით გერმანიამ მოკავშირეებს უნდა გადასცეს 5000 ზარბაზანი, 30.000 ტყვიისმფრქვეველი, 3000 ნაღმისმფრქვეველი და 2000 ჰაეროპლანი, აგრეთვე მათ ხელში კობლენცის და კელნის გადასასვლელის გადაცემა.

აღმოსავლეთის ასპარეზისთვის საზავო პირობებში შედის ბრესტ-ლიტოვსკის და ბუქარესტის ხელშეკრულობის სრული გაბათილება. აგრეთვე სუბმარინების გადაცემა.

რევოლიუციური მოძრაობამ ჩაიყოლია იტალიის ლაშქარი და მეზღვაურები.

იტალიამ იცნო ჩეხო-სლოვაკთა დროებითი მთავრობა.

გერმანიის მთავრობა ელზას-ლოტრენს დამოუკიდებლობას ანიჭებს.

ამურიდან მოსული ცნობით იქ შესდგა იაპონიის ცენტრალი გამგეობა, რომელიც ამურის ოლქის საქმეებს განაგებს, ციმბირის რკინის გზები ამერიკელების ხელშია.

საფრანგეთის ასპარეზზე გერმანიას უკანასკნელ პერიოდში 1.500.000 კაცი დაუკარგავს.

თავზარდაცემული მიხეილ ალექსანდრეს ძე მოლოდინი, თვისი მეუღლე თამარა იოსებ კორინთელის ასულით უზომო მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 გიორგობისთვეს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, უდროოდ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი და მანუგეშებელი დაი, ხოლო მეორისა სიყვარულით აღსავსე მული

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანისა

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 ს., საკუთარ ბინაზე (ანჩისხატის ქ., სახლი № 5), გამოსვენება კვირას, 17 გიორგობისთვეს, ანჩისხატის ტაძარში დილის 10 ს. (2—1868—2)

ღრმად დამწუხარებული იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 გიორგობისთვეს ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე მისი

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანისა.

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე ანჩისხატის ქუჩა, № 5. დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 გიორგობისთვეს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, ხოლო გამოსვენება ანჩისხატის ტაძარში დილის 10 საათზე. (2 1869—2)

სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, გიორგობისთვის 18-ს—1918 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალი დასი ჰხსნის თავის სეზონს.

წარმოდგენილ იქნება

სარწმუნოება

მუსიკალური დრამა 5 მოქმედებად ბრიესი.

პიესა რამდენჯერმე იქმნება წარმოდგენილი სხვა და სხვა ანსამბლით.

მონაწილეობს მთელი დასი.

შემდეგი წარმდგენები: „ლალატი", „ბურუსი", „მსხვერპლი", „ვითა ფოთლები" და სხვა.

რეჟისორი: გ. ჯაბადარი. ადმინისტრატორი: მიხ. ხერხეულიძე.

2—63—2

## [illegible]

* *
*

ვისაც კი უყვარს ქვეყანა
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ტარიელივით სტირისა,
ის დღეს ჩვენც დაგვეხმარება,
კვნესა-მე მისი ჭირისა!

—

ვისაც გულს ცეცხლი უნთია
და განცდა ძალუძს ტკბობისა,
ვისაც აღმოფხვრა სწადიან
კაცთა შურის და მტრობისა,
მოდით, აღვმართოთ ტაძრები
გონებისა და გრძნობისა!

—

ვინც უყოყმანოდ შეიძენს
ბილეთებს ლატარიისას,
ვინც ხელოვნებით სულდგმულობს,
ვინც რომ წყაროს ჰსვამს იისას,
ის იგრძნობს განცდას უტკბილესს
უმწიკვლო პოეზისას!

—

ვისაც კი უყვარს აკვანი
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ზრუნავს და მისთვის სტირისა,
კვნესა-მე მისი ჭირისა!

(3—64—1)

## დროებითი ზავი და რუსეთის პრობლემა

თუ ებერტის მთავრობას ინგლისელმა და ფრანგმა სოციალისტებმა არ უშველეს, დროებითი ზავის პირობები მეტის-მეტად მძიმე იქნება გერმანიისათვის. გერმანია სხვათა შორის, ვალდებული იქნება დასავლეთით მთელი რეინის მარცხენა სანაპირო დასცალოს, ხოლო აღმოსავლეთით 1914 წ. პირველ აგვისტოს საზღვრებამდე დაიხიოს.

მაგრამ ასეთი დროებითი ზავი არსებითად მხოლოდ დასავლეთის მხარეზე შესცვლის ძალთა განწყობილებას: ფრანგ-ინგლისელი ჯარები დაიჭერენ ბელგიასა, ელზას-ლოტარინგიას, ტრირს, კობლენცს, კელნს, კილის არხს. ბოლშევიკურ რუსეთს კი ფაქტიურად არ ძალუძს ყოფილი რუსული პროვინციების ოკუპაცია მოახდინოს: პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის, ლატიშეთის და ესტონეთის შინაგანი კონსოლიდაცია თითქმის დამთავრდა და მათ ხელახლა დასაპყრობად ცოტა უფრო დიდი მილიტარული და პოლიტიკური ძალაა საჭირო, ვიდრე ლენინისა და ტროცკის მთავრობას გააჩნია. იგივე ითქმის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის. და პარიზის დროებითი ზავი მიზანსაც სწორედ ეს შეადგენს: უნდა აღდგენილ იქმნას არა რუსეთის, არამედ ბელგიისა და საფრანგეთის ტერიტორიული ინტერგიტეტი.

ამაო იმედებს ამყარებენ ინგლის-საფრანგეთის გამარჯვებაზე მთლიანი რუსეთის მოტრფიალეები. მურმანის ექსპედიციისა და ჩეხო-სლოვაკების მაგალითმა დაამტკიცა, რამდენად ძნელია უცხო ძალისათვის რუსული გეოგრაფიის სტიქიონის დაძლევა და ბოლშევიკურ მოსკოვიაში წესრიგის დამყარება; მით უფრო ძნელია მსრბოლელი ეროვნული ძალების თავმოყრა და ადრინდელი დიდი რუსეთის აღდგენა. ამას ინგლის-საფრანგეთის ნათლად შეგნებული ინტერესი არც კი მოითხოვს. პირიქით, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად და ფინანსიურადაც შეთანხმების სახელმწიფოებისთვის რუსეთის დანაწილება დიდად ხელსაყრელია.

არ ვიცით, შესაძლებელია თუ არა საზოგადოთ რუსეთის მიერ აღებული უზარმაზარი სახელმწიფო ვალის გადახდა? ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ ამ მილიარდების განაღდება ინგლის-საფრანგეთისთვის უფრო გაადვილდება, თუ მათი ტვირთი ახალგაზდა, ჯანსაღ სახელმწიფოებზე განაწილდა. ეროვნული სახელმწიფო ფინანსიურადაც უფრო ლონიერია. ეს უცილობლად დაამტკიცეს ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებმა, ამას უეჭველია ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებული სახელმწიფოებიც დაამტკიცებენ. როგორც ევროპიელი კრედიტორის ინტერესი ერთს დროს რუმინიისა და საბერძნეთის გამოყოფას მოითხოვდა, ეხლა იმავე კრედიტორის ინტერესი პოლონეთისა და უკრაინის, ადერბეიჯანისა და საქართველოს გამოყოფას მოითხოვს.

მაგრამ ბოლოს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ფრანგი წვრილი რანტიეს ან ინგლისელი ფინანსისტის ინტერესს, არამედ საღ პოლიტიკურ მოსაზრებას. ძალიან ცუდი პოლიტიკოსები იქნებოდნენ ლლოიდ ჯორჯი და ბალფური, რომ დღეს რუსული იმპერიალიზმის აღდგენისთვის ეზრუნათ.

დიდი ომი დამთავრდა, მაგრამ ახალი მსოფლიო კოლიზიის კონტურები კიდეც იხატება ჰორიზონტზე. იაპონია გაჩქარებით ემზადება ამერიკის წინააღმდეგ. რუსეთ-გერმანიის წინააღმდეგობა დროებითი მოვლენა იყო, უფრო ხანგრძლივი და საფუძვლიანი რუსეთ-ინგლისის მეტოქეობაა. ფრიდრიხ დიდის შემდეგ ბერლინი და პეტროგრადი მუდამ მეგობრები იყვნენ: მხოლოდ ავსტრია-ჰუნგრეთისა და რუსეთის შეჯიბრებამ ბოლო დროს შეარყია ეს ტრადიციული მეგობრობა. მაგრამ რაკი ავსტრო-ჰუნგრეთი დაიშალა, რაკი სლავიანური ერები განთავისუფლდნენ, რუსეთ-გერმანიის წინააღმდეგობას ეცლება ყოველგვარი საფუძველი. ბალკანეთი და სრუტეები გერმანული გავლენის სფეროდან საბოლოოდ ანგლოსაქსონური გავლენის სფეროში გადადის.

რუსეთი მომავალში ყოველგან გერმანიისა და ავსტია-ჰუნგრეთის მაგივრად ინგლისისა და ამერიკის ინტერესებს შეეჯახება: ინდოეთშიც, სპარსეთშიც, შორეული და ახლობელ აღმოსავლეთშიც, ინგლისი შეეცდება თვით მურმანის გასაღებიც ხელში იქონიოს.

ვილიამ მესამის შემდეგ ინგლისი ევროპის კონტინენტზე ერთგვარ ტრადიციულ პოლიტიკას იცავს, რომელსაც ჩვეულებრივ „ევროპიულ ბალანს უწოდებენ: ეს პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისი სცდილობს კონტინეტზე ძალთა თანასწორობა არ დაირღვეს და ერთმა დიდმა სახელმწიფომ თუ კოალიციამ მეორე დიდი სახელმწიფო თუ კოალიცია არ გადასწონოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს ინგლისი უმაღლესი არბიტრის როლის შესრულებას. ძლიერი რუსეთი, რომელსაც ადვილად შეუძლია შემაკავშირებელი რგოლით გერმანია და იაპონია გადააბას და დიდი ანტიანგლოსაქსონური კოალიცია შექმნას, საშინელი საფრთხე იქნებოდა შეერთებული შტატების განვითარებისა და დიდი ბრიტანეთის მსოფლიო ბატონობისთვის.

ეს კარგად ესმით როგორც ლონ- [illegible] ლლოიდ ჯორჯი ყველაზე ნაკლებ „ერთობილ რუსეთის" აღდგენისთვის ზრუნავენ.

გეროხტი ქიქოძე.

## უფის დესპანი

იმ მრავალ მთავრობათ, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზედ აღმოცენდნენ და ყოველი მათგანი სრულიად რუსეთის მეთაურობას ჩემულობს, ამ ორი თვის წინედ მიემატა ახალი მთავრობა, რომელმაც თავი ამოყო ყველაზედ პატარა ქალაქ უფაში.

არც ერთს მთავრობას, რომელიც ყოფილ რუსეთში მოქმედებს, მეორე არა სწამს და, ყველანი ერთი მეორეს ებრძვიან.

დენიკინის ჯარს უფის სოციალისტები ისევე დამღუპველად მიაჩნია რუსეთისათვის, როგორც ლენინის მთავრობა, და უფის მთავრობა, კიდევ ყუბანის მთავრობას, მონარქისტ დენიკინის მონათესავეთ სთვლის.

ესევე განზედ სდგას კრასნოვის ყაზახობა და ცალ-ცალკე მოქმედებენ კიევსა თუ ყირიმში, მილიუკოვი და ბობრინსკის მიმხრე მონარქისტები.

მაგრამ ეს ხელს არ უშლის, რომ ყოველი მათგანი თავს რუსეთის მთავრობათ იწოდებდეს და ცალ-ცალკე რუსეთის გაერთიანებისთვის ილვწოდეს.

მათ შორის, უფის მთავრობა ყველაზედ გვიან წარმოიშო, მაგრამ თავის მოქმედების ფარგალს ყველაზედ ფართოდ ავრცელებს.

ეს მთავრობა განსაკუთრებით შესდგება რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრთაგან და, მემარჯვენე ესერების პლატფორმაზედ სდგას.

მაგრამ მიზანი ყველა ამ მთავრობათა მოქმედებისა ერთია:

ძველი რუსეთის აღდგენა.

და ამიტომ, ყველა ამ მთავრობათა შეერთება როდისმე, უსათუოდ, შესაძლებელი იქნება.

უფის თათბირზედ, როდესაც განხილული იყო ფარგალი ამ მთავრობის მოქმედებისა, მის ტერიტორიაში, სხვა რუსეთისაგან ჩამოშორებულ ნაწილებთან ერთად, მოხსენებული იყო ამიერ-კავკასიაც და, ეს მხარე მინდობილი ჰქონდა დამფუძნებელი კრების წევრთა სამხრეთ-აღმოსავლეთის კომიტეტს, რომელშიაც შედიან ყოფილი რუსეთის მინისტრი პერევერზევი, და ჩვენში კარგად ცნობილი ესერი ბერიოზოვი და სხვანი.

უფის მთავრობის აგენტები მრავლად მოედნენ სხვა და სხვა მხარეებს და დიდის ენერგიით შეუდგნენ თავის მოღვაწეობას.

ერთი მათგანი ამ ჟამად საქართველოშიაც ჩამობრძანდა განსაკუთრებულის მისსიით.

ეს არ არის უბრალო აგენტი ამ მთავრობისა, არამედ წევრი მისი და კერენსკის მთავრობის ყოფილი მინისტრი, ცნობილი მოსკოველი ვექილი მალიანტოვიჩი.

როგორც გაზეთებმა გვაუწყეს მისი ჩამოსვლის მიზანი ყოფილა გამოარკვიოს საქართველოს დამოკიდებულება—

უფის მთავრობასთან.

საქართველო ყოველივე უცნაურობას მიეჩვია, მაგრამ ამ პირის კადნიერება მაინც ყოველივე წრეს გადასულა.

ნუ თუ არ უნდა იცოდეს მან რომ, როდესაც ის ამ დამოკიდებულობის გამორკვევას შეუდგება, მას ჰკითხავენ:

როგორი-და დამოკიდებულება სურს დაამყაროს მის მთავრობას საქართველოსთან?

და როგორი პასუხიც არ უნდა გას- [illegible] უფის თათბირის ოქმებს, რუსეთისაგან ჩამოშორებულ ნაწილთა შემოერთების შესახებ და სოციალისტ-რევო- [illegible] ლებულ დადგენილებათ, რომელნიც სავალდებულოა ამ მთავრობისათვის:

ებრძოლონ მთელის სისასტიკით რუსეთისაგან ჩამოშორებულ ერებს!

ნუ თუ არ ჰგრძნობს ბ-ნი უფის დესპანი თავისი მისსიის უხერხულობას?

მაგრამ საქართველოში ჩამოსვლისას, სჩანს, მას შეუტყვია, რომ მისი წინადადებები აქ ნიადაგს ვერ იპოვიან და სხვანაირი მაცდურობით სურს გაიტყუოს საქართველოს წარმომადგენლები რუსეთში.

გაზეთ „ბორბას" თანამშრომელთან საუბარში, ბ-ნ მალიანტოვიჩს განუცხადებია რომ, მისი ჩამოსვლის მიზანია მოიპატიჟოს საქართველოს ქალაქთა და ერობათა მოღვაწენი სრულიად რუსეთის ქალაქების და ერობათა წარმომადგენლები ეკატერინოდარში ყრილობაზედ.

ამ ყრილობის საგანია ამ ქალაქთა გაერთიანებისათვის მოღვაწეობა.

როგორც ხედავთ წინადადება ფრიად შემპარავია, რომ გული მოულბოს საქართველოს ქალაქეთა მოღვაწეებს.

ბ-ნ მალიანტოვიჩს თავისი ჩამოსვლის პირდაპირი მიზანი ვერ გაუბედია რომ თამამად ეთქვა და ესე შემპარავად მღერის მაცდურ ჰანგებზედ.

ჩვენთვის ეს არიები დიდი ხანია დავიწყებას მიეცენ, მაგრამ მეშინია რომ, მათთვის, ვის გულსაც კიდევ ულიტინებს დაფარული წადილი თავისი ხმას კიდევ ერთხელ მისცენ ფართო რეზონანსი, არ გახდეს მაცდური ეს სიმღერა.

მაგრამ ამ პირებმაც უნდა იცოდნენ რომ ესეთი ოპერებისთვის აღარც რუსეთშია თავისუფალი თეატრი და სხვა და სხვა ერთმანეთშორისი მრავალი „ზღუდეებით ამართულ ქვეყანაში, სადაც ერთი მთავრობა მეორეს ებრძვის და ერთი სახელმწიფო მეორეს არა სცნობს, ხმა დიდს მანძილზედ არა სწვდება და თავს ტყუილად ნუ შეიცდენენ.

ბ-მა დესპანმა კი, იგივე გზა უნდა მოსძებნოს, საიდანაც აქ მობრძანებულა:

ღმერთი იყოს შემწე მის მოღვაწეობაში, მაგრამ საქართველო აქ არაფერ შუაშია.

ლ. ჯაფარიძე.

# პ რ ე ს ა

## სომხეთი კონფერენციის საკითხზე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განიზრახა 10 ნოემბრისათვის მოეწვია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია სადაო საკითხების გადასაწყვეტათ. [illegible]

[illegible] სახელმწიფო კოშესა, დატოვებული, რომელიც სხვა და სხვა გარემოების გამო დარჩა საქართველოს და მიისაკუთრა...

გაზეთი უარყოფს კონფერენციის მოწვევას, რადგან წინდაწინ უნდა გადაიჭრას ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრისთვისაც არი მოწვეული კონფერენცია. გაზეთი თავს არ ანებებს ინსინუაციებს და კიდევ იმეორებს ცილის ნოტას „სიკვდილის ხაზზე“ და „კონცეტრაციულ ბანაკზე.“

თუ სომხეთის რესპუბლიკამაც ასეთი ტონი დაიჭირა, მაშინ, უეჭველია გამარჯვებული დარჩება „დაშნაკცუტუნი,“ რომელსაც უნდა სადაო საკითხების იარაღით გადაჭრას.

ასეა ხანდისხან, ხალხს აიყვანს ბედისწერა, დაშნაკელები არ აპირობენ მორიგებაზე ფიქრს, ამის დამახსოვრება საჭიროა, საჭიროა აგრეთვე ზომების მიღებაც...

* * *

**„ერთობა“ დაშნაკელების მოწოდების გამო.**

საქართველოში მომქმედ „დაშნაკციუტუნი“-ს სარევოლიუციო პარტიამ მოწოდება გამოუშვა, სადაც თავს იმართლებს იმ ბრალდებაში, რომელსაც უყენებს ამ პარტიას საქართველოს პარლამენტი. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ეს პარტია მუდამ ლოიალური იყო საქართველოსთან. გაზეთი „ერთობა“ ეხება სომხების ლოიალობას, დასძენს:

„ეს არის თქვენი ლოიალობა და ერთგულება? ნუ თუ ისე გულუბრყვილოდ მიგაჩნიათ თქვენი მოწინააღმდეგენი, რომ მათ ვერ დაინახონ თქვენ აგიტაციაში ამბოხებისკენ მოწოდება? თუ კი საქართველოს მთავრობა მართლა ენვერ ფაშების პოლიტიკას ეწევა, თუ კი იგი მართლა საქართველოში სომხებს „მეორე მესოპოტამიას“ უწყობს, თუ კი იგი სომხების „ჟლეტას“ აწარმოებს, გვიბრძანეთ, რა ვალი ედება იმ სომხის მთავრობას, სომხის მცხოვრებთ, სომხის მოქალაქეებს, სომხის ორგანიზაციებს“, რომლებსაც თქვენ აკავშირებთ და რომლებსაც თქვენ გამოსასვლელად მოუწოდებთ? რა მიზანი ექნება მათ გამოსვლას, თუ არ ის, რომ ეს სომეხ ხალხის „მჟლეტელი“ ენვერ-ფაშები ჩამოაგდოს? ყველა თქვენი ნაწერი სომეხ ლტოლვილთა შესახებ, რომ სიმართლე იყოს, რომ შეგნებულს და წინასწარ განზრახულს ცილის წამებას არ წარმოადგენდეს, რომ „თალაათ ფაშების იარაღით გაელაშქრათ. მაგრამ თქვენი მუხანათობა სწორეთ იმაშია, რომ ყველა თქვენი ნაწერი სომეხ ლტოლვილთა შესახებ მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა. და დღევანდელი თქვენი ფიცი, საქართველოს რესპუბლიკის ერთგული მოქალაქენი ვართ და ამბოხებისაკენ მოწოდება აზრათაც არ მოგვსვლიაო, თქვენს მოწინააღმდეგეებში მხოლოდ ზიზღს გამოიწვევს თქვენდამი. იყავით მტრები, მაგრამ იყავით კეთილშობილი მტრები, ისე რომ თქვენი მოწინააღმდეგეებიც პატივისცემით გეპყრობოდენ.

ყველაფერი რასაც „ერთობა“ სწერს, რომ მართალია ეს ყველამ იცის, მაგრამ განა ასე იცნობს „ერთობა“ ამ პარტიას, რომ კიდევ კეთილშობილება მოითხოვოს!... მაგრამ ალბათ ეს დაფარული ირონიაა!...

# ქრონიკა

**ვაჭარ-მრეწველთა საჩქარო კრება.** ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მოუწოდებს ყველა იმ კომიტეტის წევრებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ფულის შეკრებაში, დაესწრონ საჩქარო კრებას დღეს, შუადღის 12 ს., ამიერ-კავკასიის ბანკის შენობაში. რადგან კრება განმეორებით ინიშნება, კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

**დანიშვნა.** სამხედრო ტოპოგრაფი პოდპ. რუსიშვილი ღენერალ. შტაბის განყოფილებაში სატოპოგრაფიო ნაწილის უფროსად დაინიშნა.

**კომისიის დანიშვნა.** სამხედრო სატუსაღოების დაწესებულებათა პროექტის შესამუშავებლად სამხედრო მინისტრმა დანიშნა კომისია ღენერალ-მაიორ. დადეშქელიანის თავმჯდომარეობით.

**ქალაქის არჩევნები.** ჯერ გამორკვეული არ არის თუ როდის დაიწყება ქალაქის მცხოვრებთა აღწერა მომავალ ქალაქის არჩევნებისათვის. —აღმწერლებათ ჩაწერილია სულ—532 კ., ქართველები—222 კ., სომხები—156 კ., დანარჩენი 154 კ. სომხებმა ქალაქის საბჭოში განაცხადეს, მომავალ არჩევნებისათვის სიები სომხურ ენაზედაც იბეჭდებოდეს. თვითმართველობამ მათი განცხადება არ შეიწყნარა. სიები ქართულ-რუსულად დაიბეჭდება.

**ქართული პოგონები.** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა სამხედრო უწყების მიმართ. ჯარის კაცთა პოგონებზე ტრაფარეტის „ქარ“ მაგი-

**სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ.** თავისუფალია მასწავლებლის ადგილები ს.ს. ყალამშის, გომარეთის (მორალო) და ატენის სკოლებში, ჯამაგარი თვეში 400 მან. თხოვნები წ. კ. გ. საზ. კანცელარიაში მიიღება.

**ექიმის თანაშემწეთა პროფ. კავშირის წევრთა კრება.** 23 24 გიორგობისთვეს მოხდება ამიერ კავკასიის ექიმის თანაშემწეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა კრება. რომელზედაც განსახილველია: ა) მომავალი დელეგატთა ყრილობა, ბ) საზოგადოების გაეროვნება, გ) ჩვენ და მომავალი ქართველ ექიმთა ყრილობა, ჟურნალი „ექიმის თანაშემწე“, და მიმდინარე საკითხები. კრება მოხდება პუშკინის ქ. ცენტრალური ქალაქის საკრებულოში.

**ჟურნალი „ექიმის თანაშემწე“.** 20 გიორგობისთვიდან ქართულად გამოვა ექიმის თანაშემწეთა პროფესიონალურ კავშირის ორგანო: „ექიმის თანაშემწე“ ექ. თანაშემწე ვანო საათაშვილის რედაქტორობით.

**წ. კ. გ. საზოგადოებაში** 13 გიორგობისთვეს მომხდარ წ. კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობის პირველ სხდომაზე აირჩიეს პრეზიდიუმი: რომელშიც თავმჯდომარედ დაინიშნა დ. კარიჭაშვილი, ამხანაგად თ. კიკვაძე, მდივნად ვ. ბურჯანაძე, ხოლო ხაზინადრად შ. დედაბრიშვილი.

4 სასკოლო სექციის თავმჯდომარედ ლ. ბოცვაძე, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი, სექციისა დროებით ვ. კახიძე, სამწიგნობრო სექციის—თ. კიკვაძე, ხოლო სამუზეუმო დ. კარიჭაშვილი. დადგენილ იქმნა გამგეობის მორიგი სხდომები შაბათობით იმართებოდეს.

## ლტოლვილთა საკითხი და ღენერალი ფონ-კრესსი

იმ კომპანიის გამო, რომელსაც სომხური გაზეთები საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებდენ, რამდენიმე კეძო პირმა სომხების წრეებიდგან თხოვნით მიმართეს გერმანულ დელეგაციის მეთაურს ღენერალ ფონ-კრესს, რათა უკანასკნელს გავლენა მოეხდინა, ქართველებზეთ სომეხ ლტოლვილთა საქმის მოწყობაში.

საკითხის გამოსარკვევად ღენერალ ფონ-კრესსმა მიმართა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს არ. ჯამალიანს, რომელმაც ღენერალს განუცხადა, რომ იგი სავსებით კმაყოფილია საქართველოს მთავრობის მოქმედებით სომეხ ლტოლვილთა მიმართ და არავითარი პრეტენზიები არა აქვს.

გერმანულ დელეგაციის სახელით, [illegible] ფონ-კრესსმა ასი ათასი მანეთი და ერთი ვაგონი პურის ფქვილი გადასცა სომეხთა ეროვნულ საბჭოს, ლტოლვილთათვის დასახმარებლად.

# პარტიული ცხოვრება

**ნიკო ნიკოლაძე და სპირიდონ კედია ქუთაისში**

კვირა საღამოს გიორგობისთვის 10-ს ქ. ქუთაისში მოხდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთათელ წევრთა საზოგადო კრება. წინ და წინ გამოცხადებული იყო რომ მოხსენებას წაიკითხავდნენ ბ. ნ. ნიკოლაძე და სპ. კედია. აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი კრების დარბაზში, დიდძალი ხალხი ტლახში იდგა მთელი ღამის განმავლობაში ყურს უგდებდა მომხსენებელთ, ექვს საათზე სხდომის დარბაზში შემოვიდა ბ-ნი სპ. კედია, რომელსაც საზოგადოება დიდის ტაშით შეეგება. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ბ-ნი ილია ჩიქოვანი, რომელმაც თავის მოკლე სიტყვაში საზოგადოებას მოაგონა რამოდენიმე ეპიზოდი საქართველოს ცხოვრებაში დღიდან რევოლიუციის დაწყებისა. ის ღვაწლი რომელიც სხვა და სხვა პიროვნებათ მიუძღვით საქართველოს დღევანდელ მდგომარეობის შექმნაში. კრების თავმჯდომარემ ამის შემდეგ სიტყვა მისცა ბ. სპ. კედიას. მომხსენებელმა თავიდანვე დაუპირდაპირა ამ მსოფლიო ომის დაწყების დროის და ამ მსოფლიო ომის ლიკვიდაციის დროის საქართველო; მკვეთრად და სხივ-მოკიდებულათ დახატა ეს ორი სურათი. შემდეგ ფართედ შეეხო საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, დღიდან მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. აღნიშნა ის სხვა და სხვა ეტაპები საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც გარემოებათა მოტიკაში, რომელსაც გარემოებათა მოთხოვნილებით, საქართველო ადგებოდა. უფრო დაიხანგრძლივა, როდესაც შეუდგა ჩვენ მეზობელ ერთა მოქმედებას საქართველოს მიმართ მათი საგარეო პოლიტიკის სახით. მომხსენებელი ხანგრძლივად შეჩერდა იმაზედ, თუ რა როლი ითამაშა გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ აღდგენისა და შემდგომ მის დაცვა-გამაგრებაში. მომხსენებლის აზრით საქართველომ თავისი დამოუკიდებლობით და სუვერენულის მოკაზმულობით უკვე განვლო ის ხანა, როდესაც საერთაშორისო ვითარება, მეომარ სახელმწიფოთა მდგომარეობა, საბოლოო გაურკვევლობის გამო. მისთვის სახიფათო ელემენტებს ატარებდა. ყველა საბუთი და მოსაზრება, რაკი ზავზე მოლაპარაკება უკვე დაიწყო, იმას ლაპარაკობს, მომხსენებლის სიტყვით, რომ სისხლის ღვრა და ომი ხელ ახლა არ გაჩაღდება, საქართველო, როგორც საერთაშორისო პერსონა, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმ. ისე შევიდა ამ ზავის ხანაში და ეს არის ერთი უმთავრესი თავმდები იმის, რომ იგი სუვერენობა—დადასტურებულიც გამოვა ამ საერთაშორისო საზავო კონფერენციიდან. საერთაშორისო მდგომარეობის და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფართედ დახასიათების შემდეგ [illegible] დაუბრუნდა საქართველოს შინაურ პოლიტიკას და საქართველოს საზღვრებში საქართველოს წინააღმდეგ მომქმედ მტრებს. აქ მომხსენებელი შეეხო სხვა და სხვა საზოგადო ხასიათის მოვლენებს, მოუწოდა ქართველობას ერთ შედუღებულ სხეულად და ორგანებად დაუხვდეს ყოველ მტერს, სულ ერთია საიდანაც იქნება იგი, ვინც კი ხმალს საქართველოს წინააღმდეგ აღიმაღლებს. ნურავის ჰგონია, სთქვა ორატორმა, რომ საერთო საგარეო საფრთხეს წინაშე, ქართველობა შინაურ კინკლაობას შეირჩენს. მტრის წინაშე საქართველოს ერთი ფრონტი ექნება და ერთი მკერდი და მთელი ქართველობა გვერდში ამოუდგება იმ მთავრობას, რომელსაც დღეს აწევს მოვალეობა საქართველოს მართვა-გამგეობის და მისი დაცვისაო. ამასთან დაკავშირებით, ორატორი შეჩერდა სომხურ-რუსულ პრესაზე, რომელიც ყოველდღე საქართველოს წინააღმდეგ დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებენ, მოიყვანა ამის ნიმუშებიც. საზოგადოებაში ყოველივე ეს დიდ გაოცებას და მღელვარებას იწვევდა. ამის შემდეგ ბ-ნი კედია დაუბრუნდა საქართველოს შინაურ სოციალ-პოლიტიკურ დანაწილებას და მათ ძალთა თანაბრობას.

ორატორმა ხანგრძლივის ანალიზით აშკარა ჰყო, რომ დღევანდელი „სტატუსკვო“ მეტად უდეგარია და რომ შეუძლებელია მას მიეცეს გამწე ხასიათი. რევოლუციით შექმნილი, როდესაც გარდამავალ ფაქტორს, აწეულ რევოლუციურ პათოსსა და ნგრევის ჰსიხოლოგიას აქვს დაჭერილი თითქმის მთელი ასპარეზი, ეს სტატუსკვო ჩვენი ქვეყნის ძალთა ნამდვილ ვითარებას არ უპასუხებს და რომ მის შეცვლაში ეროვნულ-დემოკრატიულმა მიმართულებამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს. მომხსენებელმა ცხადჰყო, რომ ამისთვის ობიექტიური პირობები უკვე მზად არის და რომ მხოლოდ პარტიის წევრთა და ხელმძღვანელთა სუბიექტიურ შემოქმედებას და უნარზე ჰკიდია ამ პირობების გამოყენება. მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა გამოამჟღავნოს ეს ჩვენი პოტენციური ენერგია და საქართველოს მისცეს უფრო მედგარი და მის სინამდვილესთან შეწონილი პარლამენტი და მუშაობა.

დღევანდელი მთავრობა იმას გვამადლის, რომ ჩვენს საქმეს იგი აკეთებს და რომ ისტორიაში პირველი მაგალითია ასეთი დიდი ტანჯვა რომ პოლიტიკურ პარტიას ჰრგებოდეს: სოციალისტებს სახელმწიფოს შენობაო! ვიხსნათ ეს ხალხიც ტანჯვისაგან და ჩვენის მოქმედებით და პოლიტიკური მუშაობით შევქმნათ ისეთი ნორმალური მდგომარეობა, რომ ჩვენი საქმე ჩვენ

# პეტროგრადში

**(ინტერვიუ „საქართველო“-სთვის.**

ამ დღეებში პეტროგრადიდან თბილისში ჩამოვიდა პეტროგრადის ქართველთა ეროვნული კომიტეტის წევრი ბ-ნი პავლე მოსულიშვილი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს საუბარში გადასცა მრავალი საყურადღებო ცნობები პეტროგრადის დღევანდელი ცხოვრების შესახებ.

**ბოლშევიკები.**

ბოლშევიზმი ჯერ კიდევ ძლიერია რუსეთში და ლენინის მთავრობას, განსაკუთრებით მოსკოვსა და პეტროგრადში ძალიან მტკიცე ძალა-უფლება აქვს.

**სურსათი.**

სასურსათო საქმე ძალიან ცუდათ არის მოწყობილი და მთელი პეტროგრადი შიმშილობს. შიმშილობის ნიადაგზედ მრავალია შემთხვევანი ჭკუაზედ შეშლისა და თვითმკვლელობათა განსაკუთრებით ინტელიგენცია ყოველივე საშუალებას მოკლებულია ირჩინოს თავი; უწინ მათ კიდევ ქონდათ ერთი საშუალება გაზეთების გაყიდვა, მაგრამ მას შემდეგ რაც „ბურჟუაზული“ გაზეთები დახურეს, ეს საშუალებაც მოესპოთ და უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან.

ამ ნიადაგზე პროსტიტუცია ძალიან გაძლიერდა და ქუჩაში შეიძლება შეხვდეთ პეტროგრადის მაღალი წრის ქალებს.

ეს ფაქტი ბოლშევიკურმა პრესსამაც კი აღნიშნა და ცინიკურად მიმართა პროლეტარიატს: შეხედეთ ბურჟუაზიის წრის ქალებს, რომელნიც თავს ყიდიან და ზიზღით გვერდი შეაქციეთ მათ.

**კატეგორიები**

ბოლშევიკებმა მოსპეს წოდებანი, მაგრამ თვით შექმნეს ახალი წოდებანი; მთელი ხალხი განიყოფება ოთხ კატეგორიათ: პირველი, თვით წარჩინებული ბოლშევიკები, რომელნიც დღეში ერთ გირვანქა პურს იღებენ. მეორე—ქარხნებში მომუშავენი, ბოლშევიკები, რომელნიც ½ გირვანქას იღებენ მესამე—დაწესებულებებში მოსამსახურენი, რომელნიც ¼ იღებენ. მეოთხე—ისინი ვინც საბოტაჟს ეწევიან და გირვანქას იღებენ დღეში და მეხუთე კათეგორია—ბურჟუა, კონტრრევოლიუციონერები უკვე არასფერს არ იღებენ და შიმშილზედ არიან განწირულნი.

პეტროგრადში დიდი ანშლაგებით იყო გამოცხადებული, რომ რევოლიუციის წლის თავზედ სადღესასწაულოდ ყოველ მუშას მიეცემა თითო „ფრანგული ბულკი.“

**სატუსაღოები**

ყველაზედ უფრო საოცარი პეტროგრადში სატუსაღოებია. ყოველ სახალხო არმიელს, ან კომუნარს, როგორც იქ მილიციის მოხელეებს ეძახიან, სრულიად უდანაშაულოდ შეუძლია დაატუსაღოს ვინც სურს და შემდეგ დატუსაღებულის ბედის გაგება ყოვლად შეუძლებელია.

ციხეებში საოცარ ტანჯვისაგან ჭკუაზედ ირყევიან და შემდეგ ციხის ადმინისტრაცია ისე აქრობს მათ, რომ კვალის მიკვლევა ძალიან ძნელია.

**დახვრეტა**

ძველ მოღვაწეებიდგან პეტროგრადში ძალიან ბევრი დახვრიტეს, ყოფილი მინისტრები, საზოგადო მოღვაწენი, კადეტები და კერენსკის მთავრობის მოღვაწენი. სხვათა შორი დახვრიტეს ცნობილი პუბლიცისტი და „ნოვოე ვრემიას“ თანამშრომელი მენშიკოვი.

**ბოლშევიკური მოღვაწენი**

ბოლშევიკების მოღვაწეებს უმთავრესად ებრაელები შეადგენენ და ხალხი, რომელსაც არავითარი განათლება არა აქვთ. ასე, მაგალითად, დღევანდელი საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი ყოფილ საგარეო სამინისტროს პატარა მოხელე იყო, რომელმაც სამინისტროს კანცელარიიდან მოიპარა საიდუმლო ქაღალდები და გერმანიის აგენტურას მიჰყიდა, რისთვისაც იგი დაიჭირეს, მაგრამ საზღვარ-გარედ გაიქცა და იქ ბოლშევიკებს მიეკედლა, უმაღლეს საგამომძიებლო საქმის სათავეში სდგას ვინმე ბოკი, სამარელი ურია, რომელიც რევოლიუციამდე წიგნების ყდის შემკვრელი იყო, მაგრამ ეხლა დიდ როლს თამაშობს საბჭოთა მთავრობასთან.

თვით საგანგებო საგამომძიებლო კომისია შესდგება ყოფილ მზარეულთაგან, ქარხნის მუშათაგან, ან ყოფილ დიდი მთავრების ლაქიებისაგან და ერთი, ან ორი ინტელიგენტი თუ გამოერევათ.

**იძულებითი სამუშაონი.**

პეტროგრადში და ყველა ბოლშევიკურ ქალაქებში დაწესებულია იძულებითი სამუშაონი, რისთვისაც გაჰყავთ უმთავრესად ბურჟუაზია და ინტელიგენცია.

ამ სამუშაოზედ მთელი დღე დაუყოვნებლივ უნდა ხვეტო ქუჩები, ან თხარო სასაფლაოები და თუ დაიღალე და დასვენება მოგინდა, სახალხო არმიელზედ არის დამოკიდებული, მოგკლავს, თუ მხოლოდ კონდახით გცემს.

ერთი ესეთ სამუშაოზედ, სასაფლაოს გასათხრელად გაეწვიათ პეტროგრადში კარგად ცნობილი მილიონერის ლილიანოვის შვილი, სტუდენტი, რომელიც წასულა ® პატიოსნად შესდგომია თავის მუშაობას. ორმოს გათხრის დროს ნიჩაბით ამოუღია თავის ქალა. წითელ-არმიელს ხელიდან გამოურთმევია და პირში ჩაუტენია ამ ყმაწვილისათვის შემდეგი სიტყვებით:

ვინ იცის, იქნებ მამაშენმა, ან ბაბუამ მიიყვანეს ამის პატრონი საფლავამდის და ძალით აჩრიდა მას პირში. ყმაწვილს ველარ მოუთმენია, გამოქცეულა სახლში, წაუღია რევოლვერი და გაქცეულა. ეს ყმაწვილი ამის შემდეგ მშობლებს ველარსად უპოვნიათ, მხოლოდ გაზეთებში კი იყო ცნობა, რომ სასაფლაოზედ მოკლული წითელი არმიელი ნახესო.

ან კიდევ ესეთი ფაქტი.

მიხეილის მოედნის კუთხეში წითელ-არმიელებს გაუჩერებიათ მოხუცი ცნობილი მხატვარი პროფ. მაქსიმოვი და საბუთები მოუთხოვიათ. მას უჩვენებია: 60 წლისა, მხატვარი.

— საბჭოთა სამსახურში იმყოფებით?

— მე მხატვარი ვარ და ჩემის ხელობით ვცხოვრობ და ეხლა გამოფენისთვის ვემზადები.

საწყალი მოხუცი წაუთრევიათ.

ორი დღე მისმა ცოლშვილმა უქმად ეძება მისი კვალი: მხოლოდ მესამე დღეს მოვიდა იგი სახლში ისე, რომ ძლივს სულს ღაფავდა; მოხუცი მხატვარი წითელ არმიის კომისარს ნევაზედ წაუთრევია და ხეებს აზიდვინებდენ ორი დღის განმავლობაში და გირვანქა პური მიუციათ მხოლო ამ ხნის განმავლობაში, თან ერთი კვირის სამუშაოც გადუწყვიტეს.

**ბოლშევიკები და ეკლესიები**

პეტროგრადში ბოლშევიკებმა დახურეს ყველა ეკლესიები და მათს შენობებში სათეატრო დარბაზები გახსნეს. სამაგიეროდ მთელი პეტროგრადი ებრაელთა სინაგოგებით არის მოფენილი.

**ბოლშევიკები და ხელოვნება.**

ბოლშევიკები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ხელოვნებას. მრავალი რუსი ცნობილი პოეტი საბჭოთა პოეტებათ გამოაცხადეს და მათი ნაწერების გამოცემა მონოპოლიად აღიარეს. ასე მაგალითად ალექსანდრე ბლოკი, მ. კუზმინი, ვ. ბრიუსოვი, რიურიკ ივნევი მხოლოდ ბოლშევიკების გამოცემებში სწერენ და დიდ ჰონორარებს იღებენ.

პეტროგრადში დაარსდა ეგრედ წოდებული პროლეტ-კულტი, სადაც თავი შეიყარეს ყოვლად უნიჭო და უცნობმა მწერლებმა და ხელოვნების დემოკრატიზაციის ლოზუნგებით თავის თავს რუსეთის ხელოვნების ბატონ-პატრონად აცხადებენ.

ამასთან ერთად ბოლშევიკები შეუდგენ რუს-კლასიკოს მწერალთა ძვირფას გამოცემების გათავებას და ახალის ორფოგრაფიით ბეჭდვას.

ესეთივე ყურადღებით ეპყრობიან ბოლშევიკები თეატრს, რომლის სათავეში სდგას „ამხანაგი ანდრეევა“— მაქსიმ გორკის მეუღლე, რომელიც უალრესი ბოლშევიკია.

ბოლშევიკურ თეატრებისთვის საუკეთესო რუსი მომღერლები და მსახიობები იძულებულჰყვეს ემსახურნათ, ძალიან მცირე ჯამაგირებით, რასაკვირველია იმათ გარდა ვინც საბჭოთა მთავრობის მომხრეთ სთვლის თავს.

კარგს მდგომარეობაში იმყოფებიან აგრეთვე ის ჟურნალისტებიც, რომელნიც ბოლშევიკურ გაზეთებში გადავიდნენ, როგორც ო. ლ. დ' ორი, ვ. კნიაზევი და სხვანი, რომელნიც ბოლშევიკურ წერილებს სწერენ და იმუქრებიან, რომ „ვინც მათთან არ არის, ის მოსპობილ უნდა იქმნესო“.

**ჯუღაშვილი — სტალინი**

ჯუღაშვილი—სტალინი დღესაც სახალხო კომისარის საბჭოს წევრია და ეროვნებათა საქმეებს განაგებს. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კომისრებს შორის ჯუღაშვილი ყველაზედ უფერულია.

როგორ უყურებს იგი ქართველებს?

მისი შეხედულება გამოითქმება ერთის ფრაზით, რომელთაც მან უპასუხა მასთან მისულ ქართულ დელეგაციას: „თქვენ ხართ ქართველები და მე-კი ბოლშევიკი“.

**მოკავშირეთა ჯარი.**

ბოლშევიკების წინააღმდეგ შეთანხმების სახელმწიფოთა საკმაოდ მრავალ რიცხოვანი ჯარი გროვდება. უკანასკნელ ხანში, ინგლისელები სადგურ ზვანკასთან იყვენ, რომელიც ვოლოგდის მიმართულებით არის. აგრეთვე იაპონელთა რამდენიმე დივიზია მოიწევს ციმბირში.

**პროვინციული მთავრობანი.**

რუსეთში საკმაოდ ბევრი რიცხვია სხვა და სხვა მთავრობათა, მაგრამ მათ შორის ყველაზედ გავლენიანი უფის მთავრობაა, რომელსაც მოკავშირენიც ჰპირდებიან დახმარებას და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარიც ჰყავს.

დენიკინის მოხალისეთა ჯარს ეს მთავრობა უარყოფით უყურებს და მათ მონარქისტულ ორგანიზაციად სთვლის, რომელთანაც არაფერი საერთო არ სურს რომ ჰქონდეს.

**ქართველები ბოლშევიკების სამსახურში.**

პეტროგრადში ბოლშევიკების სამსახურში მხოლოდ ორი ქართველი იმყოფება. ერთ მათგანს გიორგი ლორთქიფანიძეს დიდი თანამდებობაც უჭირავს—იგია საგარეო საქმეთა განყოფილების გამგეა, შინაგან საქმეთა კომისარიატში. სამაგიეროთ მოსკოვში ბოლშევიკურ დაწესებულებებში ქართველების დიდი რიცხვი მუშაობს.

**ქართველთა ეროვნული კომიტეტი.**

პეტროგრადში დიდის ენერგიით მოქმედებს ქართველთა ეროვნული კომიტეტი ცნობილი ჟურნალისტის ბ-ნ ალ. ჩერქეზიშვილის მეთაურობით, რომელსაც ამ კომიტეტის შექმნაში და მის მოღვაწეობაში ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ქართველთა ეროვნული კომიტეტი დაარსდა თითქმის ერთის წლის წინედ, წარსულ დეკემბერში და სამშობლოს სრულიად მოწყვეტილს, თავის ძალებით უხდებოდა გზის გაკვლევა.

პეტროგრადელი ქართველობა დიდის სიხალისით შეხვდა ამ კომიტეტის დაარსებას, რომელმაც სავალდებულო გადასახადი დააწესა პეტროგრადში მცხოვრებ ქართველებზედ და სულ მოკლე დროში 50 ათას მანეთამდე შეაგროვა, რის შემწეობით მან შესძლო დიდი დახმარება გაეწია გაჭირვებულ თანამემამულეთათვის და მრავალთათვის საშუალება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყვენ.

ვაკეთოთ და სოციალისტებმა კიდევ თავისიო.

ბ-ნ მომხსენებლის სიტყვას დამსწრე საზოგადოება დიდის ინტერესით ისმენდა და ძლიერის ტაშით აწყვეტინებდა. მის სიტყვის დასასრულს მთელი დარბაზი ხანგრძლივის ტაშით გაუმასპინძლდა.

15 წუთის შესვენების შემდეგ დარბაზში შემოდის მოხუცებული, მაგრამ მხნე, ნიკო ნიკოლაძე, რომელიც სწორედ ის-ის იყო თავის სოფლიდან,—დიდი ჯიხაიშიდან, ჩამოვიდა. ნიკოლაძეს საზოგადოებამ ნამდვილი ოვაცია გაუმართა. მხურვალე ტაშმა დიდხანს გასტანა.

კრების თავმჯდომარემ საზოგადოებას მოახსენა, რომ ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ქუთაისის საზოგადოებაში პირველად არის მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, შეეხო მოკლედ მის ნაღვაწს და დასძინა, ჩვენში მომქმედი პოლიტიკური პარტიები ცდილობდნენ ნიკოლაძის გარიყვას და ებრძოდნენ მას ყოველის საშუალებით მხოლოდ იმიტომ, რომ ნიკოლაძე მათ შეხედულებათ არ იზიარებდა. მაგრამ დაუდგა საქართველოს უზენაესი მნიშვნელობის დრო და მომენტი და ჩვენი მოხუცი ნიკო ასპარეზზედ თვალსაჩინოდ წამოიჭრა. იგი საჭიროდ გარდაიქცა და მას მოუწოდებდენ საქვეყნო საქმისთვის, ხან აქა და ხან იქ. დრომ თავისი მიუზღო ჩვენს მხცოვან მოღვაწესს. ვუსურვოთ მას, ხანგრძლივობა რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება საქართველოს სასარგებლოდ კიდევ დიდხანს ამუშაოსო. თავმჯდომარის სიტყვა სალხმა დიდის ტაშით დაჰფარა.

ამის შემდეგ ტრიბუნაზედ ავიდა ბ. ნიკოლაძე. საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და შემდეგ, დამარწმუნებელის კილოთი განუმარტა საზოგადოებას, რომ დღეს უკვე თავიდან აცილებული გვაქვს ყველა ის დაბრკოლება, რომელსაც ჩვენი უმოქმედობის მიზეზად ვსთლიდით და რომლითაც თავს ვიმართლებდით საკუთარი უნიათობის და სიზანტის დასაფარავად. დღეს ჩვენდა საბედნიეროდ საქართველოში არ არის არც რუსის გუბერნატორი და არც რუსის გოროდოვოი, დღეს რუსეთის მთავრობა თავზე არ გვაზის და სულს არ გვიხუთავს. დღეს ყველა თავისუფალია ჩვენი ეროვნული მოქმედებისათვის. და მხოლოდ ჩვენი ბრალი იქნება, თუ ეს ჩვენი სილამაზით და სიმდიდრით შემკული ქვეყანა მართლაც და სამოთხეს არ დავამზგავსეთო. მომხსენებელი შეეხო განსაკუთრებით, ქვეყნის ეკონომიურ მხარეს, ფინანსებს, შეეხო მიწის საკითხს. მან აღნიშნა რომ სოფლის მეურნის კეთილდღეობის საკითხს მიწის ჩამოჭრა, ან მიმატება კი არა სწყვეტს, ამასთან ერთად უმთავრესად ის, რომ მეურნეს მისი საკუთრების ინტენსიური გამოყენება შევაძლებინოთ; ამისთვის საჭიროა რომ სოფელში შევიტანოთ ტეხნიკური სამეურნეო ცოდნა, მეურნეს მივეშველოთ მანქანების მიწოდებით, სესხის გაცემით, გზების, არხების გაყვანით და სხვ. და სხვ. ამას კიდევ ცოდნა უნდა; პრაქტიკული საქმეა გასაკეთებელი და ცარიელი სიტყვებით და პროგრამით საქმეს ვერ უშველითო. ნიკოლაძის სიტყვას ხალხი დიდის სმენით მიეცა. მის სიტყვის დასასრულის დროს საზოგადოება დიდის ტაშით მიესალმა. ბ-ნ ნიკოლაძეს შეკითხვა მისცეს, თუ როგორ უყურებს იგი საქართველოს დამოუკიდებლობას და გერმანიის მდგომარეობას.

ნ. ნიკოლაძემ საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო მდგომარეობის მხრით უზრუნველ ყოფილად წარმოადგინა და დიდის იმედით და რწმენით შეჰხედა მას. საზოგადოება გააფრთხილა ფხიზლად იყოს უფრო მახლობელ მტრების მიმართ და მოუწოდა ორგანიულ ინტენსიურ მუშაობისათვის საქართველოს შინაგანი ძლიერების შესაქმნელად. რაც შეეხება გერმანიას, ბ-ნ ნიკოლაძემ აღნიშნა ის ძნელი მდგომარეობა რომელ'შიაც გერმანია ჩავარდა მის მოკავშირეთა მოუძლურებისა და ძალის გამოფიტვის გამო. მაგრამო დასძინა ბ-ნი ნიკოლაძემ, ნამდვილი ომი მაშინ დაიწყება, თუ გერმანიის მოპირდაპირეებმა გერმანიის ტერიტორიაზე ფეხი შემოდგეს. ვინც გერმანელი ერის სულის სიძლიერეს და მამულიშვილობას იცნობს ამაში დამეთანხმებაო.

დასასრულს კრებამ დიდის აღფრთოვანებით აირჩია სხვადასხვა პროფესიიდან საკმაოდ მოდიდო კომისია რომელსაც დაავალა არჩევნების საწარმოებლად საჭირო ნივთიერი საშუალებისა გამოძებნა საარჩევნო ორგანიზაციის მოწყობა.

ეს იყო ნამდვილი საზეიმო ყრილობა, რომელსაც ორ ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

ა. ი.

---

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის და მისი თავმჯდომარის დიდი ტაქტისა და გონიერი პოლიტიკის გამო, კომიტეტმა შესძლო გავლენა მოეპოვა მართველ წრეებში, რომელნიც ანგარიშს უწევდნენ ამ კომიტეტს და მის მოქმედებას და მას საქართველოს სახელმწიფოებრივი წარმომადგენლობის ხასიათი მიეცა, და მაშინ, როდესაც ბოლშევიკების მთავრობამ ყველა ეროვნული ორგანიზაციები დახურა, ქართველთა ეროვნულმა კომიტეტმა მოახერხა თავისი მოქმედება განეგრძო.

**საგამომძიებლო კომისია**

ეროვნულ კომიტეტთან არსებობს განსაკუთრებული საგამომძიებლო კომისია, რომელსაც უკანასკნელ დრომდე ხელმძღვანელობდა პეტროგრადელი ნაფიცი ვექილი ბ-ნი პავლე მოსულიშვილი.

ეროვნულ კომიტეტის მოღვაწეობაში განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი ამ საგამომძიებლო კომისიას უკავია, რომლის მეოხებით მრავალი ქართველი ბოლშევიკურ საღრჩობელას ასცდა.

ეროვნულმა კომიტეტმა მოახერხა, რომ ყველა დატუსაღებული ქართველნი, ან ისეთნი, რომელთაც ადმინისტრაცია ან მთავრობა რაიმე ბრალს სდებდა, მათი საქმენი გადასცემოდა ამ საგამომძიებლო კომისიას, რომელიც თვით აწარმოებდა ამ ბრალდებულთა საქმეებს და შემდეგ თუ ისინი სამართალში იქნებოდნენ მიცემულნი, სასამართლოშიც იცავდნენ.

ბოლშევიკური მთავრობა დიდის ყურადღებით ეკიდებოდა ამ კომისიის ყოველ განცხადებას, რომელიც განსაკუთრებულ დანაშაულობის დამტკიცების დროს დამნაშავეთ სასჯელად პეტროგრადიდან კავკასიაში გადენას უწყვეტდა და ესეთის საშუალებით მრავალი ქართველი იქმნა საქართველოში დაბრუნებული.

**ბოლშევიკები და საქართველოს დამოუკიდებლობა**

ბოლშევიკური მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება ქართულ ორგანიზაციისადმი გრძელდებოდა იმ დრომდე, ვიდრე პეტროგრადში არ მოვიდა ცნობა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, რის შემდეგ მათი განწყობილება სრულებით შეიცვალა. ქართველები გამოცხადდნენ კონტრ-რევოლუციონერებად და, რასაკვირველია, ქართულ ეროვნულ კომიტეტის გავლენაც საგრძნობლად დაეცა. ამას თან დაერთო ის საოცარი პროვოკაცია, რომელსაც სომხები ავრცელებდნენ ქართველებზედ და, განსაკუთრებით ქრ. ჩალხუშიანი, რომლის წერილებს პეტროგრადის გაზეთებში აღშფოთებაში მოჰყავდნენ ყველა ქართველები.

იყო შემთხვევა, როდესაც კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ჩერქეზიშვილიც დაატუსაღეს, მაგრამ შემდეგ იგი განთავისუფლებულ იქმნა.

უკანასკნელ დროს დატუსაღებულ იქმნა ბ-ნი მოსულიშვილიც, რომელსაც ბრალს სდებდნენ იმაში, რომ მან მოტყუილებით მრავალი ქართველი გაანთავისუფლა და უდიერათ იხსნიებდა ბოლშევიკების მოღვაწეთ.

მოსულიშვილის განთავისუფლება ბ-ნ ჩერქეზიშვილის შუამდგომლობით საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარეს ბოკის გერმანულმა კონსულმა სთხოვა, მაგრამ ბოლშევიკები სასტიკ უარზედ იყვნენ და მხოლოდ შემთხვევით, მოხერხდა სატუსაღოს ზედამხედველის არაყით დათრობა და ბ-ნმა მოსულიშვილმა გაპარვა მოახერხა და საქართველოსკენ გამოემგზავრა.

---

# რევოლუცია გერმანიაში

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო

## ახალი სახალხო მთავრობა

**გერმანული პრესა.** საქსონიიდან მოსულ ცნობების თანახმად, იქ ახალი სახალხო მთავრობა შემდგარა.

## მეფე და მინისტრები

მეფე ტახტიდან გადადგა. ყველა მინისტრები გადადგენ.

## იმპერატორი და კრონპრინცი

იმპერატორი და კრონპრინცი ავტომობილებით მაასტრიტში მივიდნენ და უცდიან ჰოლანდიის მთავრობის ნებართვას, რომ ჰოლანდიაში იცხოვრონ.

## ჰინდენბურგი და ახალი მთავრობა

ჰინდერბურგი იმყოფება მთავარ ბანაკში და მოქმედობს ახალ მთავრობის თანხმობით.

## სოციალისტურ პარტიების შეთანხმება

ორ სოციალისტურ პარტიის შორის მოლაპარაკება კვირას შეთანხმებით დასრულდა, მიღებულ იქმნა დამოუკიდებელ სოც.-დემ. მოთხოვნილებები.

## რევოლუციურ მოძრაობის გაძლიერება

რევოლიუციონური მოძრაობა მთელ გერმანიაში ძლიერდება. ცნობები მოდის, რომ ყველგან მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს აფუძნებენ. რევოლიუციონური მოძრაობა საერთოთ სწარმოებს უსისხლოთ და ბევრგან სამხედრო და ქალაქის ადმინისტრატორებმა დაუყოვნებლივ იცნეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. ზოგ ქალაქში დემონსტრაციები და გაფიცვები მოხდა, რომლებმაც მშვიდობიანად ჩაიარა.

**დროებითი ზავის პირობები.**

ინგლისური პრესა. 12 გიორგობისთვე. ლლოიდ-ჯორჯმა პალატაში გამოაქვეყნა დროებით ზავის პირობები. ეს პირობები 3 ნაწილად იყოფება: დასავლეთის ასპარეზის, აღმოსავლეთის ასპარეზის და საზღვაო. დასავლეთის ასპარეზის პირობები ასეთია: გერმანელებმა დაუყოვნებლივ უნდა დასცალონ დაპყრობილი ქვეყნები: ბელგია, საფრანგეთი, ელზას-ლორენი და ლიუქსემბურგი; დაპყრობილ ქვეყნებიდან ძალით გაყვანილი მცხოვრებნი უკანვე უნდა დააბრუნონ: მოკავშირეებს უნდა ჩააბარონ 5000 ზარბაზანი, 30,000 ტყვიისმფრქვეველი, 3000 ნაღმას მტყორცნელი და 2000 ჰაეროპლანი; გერმანიის ლაშქარმა უნდა დასცალოს მდ. რეინის მარცხნით მდებარე ადგილები: დაცლილი ადგილები შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარმა უნდა დაიჭიროს; მანვე უნდა დაიჭიროს რეინზე გადასასვლელი ადგილები, სახელდობრ: მაინცთან და კოლომთან.... (გაუგებარია) თითო ხიდი.... (გაუგებარია). ერთს ადგილას რომლის რადიუსი უდრის 30 კილომეტრს და ამ ადგილებში მყოფ გარნიზონების მიერ. 5000 ორთქლმავალი. 150,000 ვაგონი, 5,000 ავტომობილი მოკავშირეთა სახელმწიფოებს უნდა გადაეცეს. დაჭერილ ადგილებში, საოკუპაციო ჯარის დაკმაყოფილება და ხარჯი, ელზას-ლორენის გარდა, გერმანიის მთავრობამ უნდა იკისროს: ყველა სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნება; აღმოსავლეთის ასპარეზის პირობები შემდეგია: გერმანიის ჯარმა უნდა დასტოვოს რუსეთის, რუმინიის და ოსმალეთის ტერიტორია და ომამდე არსებულ საზღვარს იქით უნდა გავიდეს: ბრესტ-ლიტოვსკის, ბუქარესტის და სხვა ხელშეკრულებათა სრული გაუქმება. საზღვაო პირობები შემდეგია: გერმანიამ უნდა აცნობოს მოკავშირეთ თუ სად სდგას მისი გემები და ჩააბაროს წყალქვეშანავები. 16 სამხედრო გემი, 8 კრეისერი და 50 გამანადგურებელი გემი უნდა დარჩეს ნეიტრალურ ნავთსადგურებში, ან და მოკავშირეთა მიერ აღნიშნულ ნავთსადგურებში: ყველა დანარჩენ სამხედრო გემებმა სავსებით უნდა აიყაროს იარაღი გერმანიის ნავთსადგურებში და მოკავშირეთა მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს; თავისუფალი მიმოსვლა ბალტიის ზღვაზე. ამ პირობათა უზრუნველსაყოფად მოკავშირე სახელმწიფოთ შეუძლიათ დაიჭირონ. . . (დამახინჯებულია); შავიზღვის ნავთსადგურების ევაკუაცია და სავაჭრო გემების დაბრუნება.

**გერმანიის პრესა.** 12 გიორგობის. ვარშავის და მის მიდამოებში მდგარ გერმანიის ჯარში, რომელთაც ერთმანეთთან კავშირი აქვთ, 11 გიორგ. შესდგა ჯარისკაცთა საბჭოები, რომელიც საღამოს 6 საათზე მთავრობის შენობაში შეიკრიბა. ამ დროს სხდომაზე მოვიდა პოლონეთის სარეგენტო საბჭოს წევრი პოლკოვნიკი, რომელმაც განაცხადა, რომ სარეგენტო საბჭო გერმანიის ჯარის ყოველგვარ საფრთხისაგან გარანტიას მისცემს, თუ შეასრულებენ ზოგიერთ პირობებს (იარაღის გადამაცე). სხდომაზე მხურვალე ოპოზიციამ იჩინა თავი, რომელიც იმ აზრისა იყო, რომ პოლონეთის პოლიტიკური მთავრობასთან ჯარისკაცთა საბჭოა არავითარი მოლაპარაკება გამართოს ამ საკითხზე. სარეგენტო საბჭოს წარმომადგენელმა პასუხი მიიღო, რომ ჯარისკაცთა და მუშათა საბჭო სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს ყოველ პოლიტიკურ ტენდენციებისადმი და ეცდება რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს სამშობლოში, და მასთან ერთად პოლონეთში გაფანტულ და უკრაინაში მყოფ ჯარის დაბრუნება უზრუნველჰყოს. მთელი კრება ერთხმად წინააღუდგა იარაღის გადაცემის წინადადებას; მასთან ერთად აღნიშნავს, რომ მტკიცედ შეკავშირებული გერმანიის ჯარი საგრძნობ ძალას წარმოადგენს, ასე რომ ჯარს არავითარი შიში არა აქვს. მუშათა კომიტეტმა დაადგინა შემდეგი: 1) სამხედრო ტყვეები რჩებიან თავიანთ ადგილზე და მუშაობას განაგრძობენ, 2) სამხედრო ტყვეები 11 გიორგობისთვიდან მიიღებენ სამუშაო ქირას, ისე როგორც გერმანიის მუშები, 3) ტყვეები ვალდებული არიან იმუშაონ ისე, როგორც მუშაობდნენ წარსულში. ვინც მუშაობაზე უარს განაცხადებს, არ ექნება უფლება სურსათი მოითხოვოს, 4) სამუშაოს მომცემნი ვალდებული არიან პირნათლად აასრულონ კონტრაქტები, 5) შეიარაღებულ ზედამხედველებმა ძველი წესით უნდა დაიცვან წესიერება სამხედრო ტყვეებს შორის, 6) მუშაობის შემდეგ სამხედრო ტყვეები თავიანთ ბინაზე უნდა იყვნენ.

## იტალიის ჯარის დაშლა

გერმანიის სხვადასხვა ნაწილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად რკინის გზებზე მოძრაობა თანდათან ნორმალურ კალაპოტში სდგება. დიდი ქალაქებისთვის სურსათის მიწვდენა არ შეფერხებულა.

ნეიტრალურ სახელმწიფოებიდან მიღებულ ცნობებით იტალიის მცხოვრებებსა და ჯარში რევოლიუციონურმა მოძრაობამ იჩინა თავი. „ციურიხერ მორგენ ცაიტუნგ“-ს“ აუწყებენ ინსბრუკიდან, რომ იტალიის ჯარში დეზერტირობა გაძლიერდა. იტალიის ჯარისკაცები აცხადებენ, რომ ზავი უკვე ჩამოვარდა და ამიტომ შეუძლიათ შინ დაბრუნდენ, როგორც ამას ავსტრიელები სჩადიან. იტალიის მესამე არმიაში ჯარისკაცებმა უარი სთქვეს მორჩილებაზე. დეზერტირობამ განსაკუთრებით თავი იჩინა იტალიის მეექვსე არმიაში.

ოფიციალურ ცნობების თანახმად ყოფილ სტატს სეკრეტრებს და მთავრობის წარმომადგენელთ დაკისრებული აქვთ განაგრძონ მუშაობა. ამავე დროს მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტმა პრუსიის პოლიტიკურ კაბინეტის წევრებად დანიშნა: თავმჯდომარედ პავლე გირში და ჰენრიხ შტრობელი და წევრებად ევგენი ერნესტი, ოტო ბრაუნი და ადოლფ გოფმანი. მე-6 წევრს შემდეგ დანიშნავენ. მიწათმოქმედების სამინისტროს გამგედ დაინიშნა ოტო ბრაუნი და ადოლფ გოფერი, შინაგან საქმეთა პავლე გირში და ემილ ეიბგორნი, ბერლინის პოლიციის უფროსად ევგენი ერნსტი, ფინანსთა სამინისტროსი დ-რი ალბერტ სვედეკუმი, კულტურის სამინისტროსი—ადოლფ გოფმანი და კონრად ხენიში. სამინისტროს შევსება ახლო მომავალში მოხდება.

წინააღმდეგ გავრცელებულ ხმებისა, ვითომც ეხლანდელი მთავრობა სამხედრო სესხის გაუქმებას აპირებდეს, ოფიციალურად ცხადდება, რომ ყველა ასეთი ხმები სიცრუეა. გაზეთების ცნობით მეცხრე სამხედრო სესხზე ხელის მოწერა 10 მილიარდს აღემატება.

## მდგომარეობა ბერლინში

ბერლინი. გერმანიის სატახტო ქალაქში 11 ნოემბერს სიწყნარე იყო; „უნტერ-დენ-ლინდენ“-ის და ახლო მახლო ქუჩებზე დროგამოშვებით ისმოდა სროლა, რომელიც ერთმხრივ ხალხის აღელვების შედეგი იყო და მეორეს მხრივ პროვოკაციულ ხასიათისა. მაღაზიები გაიხსნა და ქუჩებში მოძრაობა ოდნავ განსხვავდება მშვიდობიან დროის მოძრაობისაგან. შუადღისას მოწვიმა, ქუჩებში ხალხი გაჰფანტა და ამნაირად დამამშვიდებელი გავლენა იქონია.

**გერმანიის საზოგადოებრივი აზრი.**

გერმანიის საზოგადოებრივი აზრი განურჩევლად მიმართულებისა, დამოუკიდებელ სოციალისტებიდან დაწყებული მემარჯვენე ჯგუფამდე, გრძნობს, რომ დროებითი ზავის პირობები და შიმშილობის გაძლიერება პოლიტიკურ მოსაზრებით მიმართულია გერმანიის ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც ეს ეს არის ახლა დაამხო მილიტარისტული მთავრობა და ხალხთა ლიგაში თანამშრომლობაზე და საყოველთაო ზავზე თანხმობა განაცხადა. ეს გრძნობა ერთნაირათაა გამეფებული გერმანიის ყველა ნაწილებში.

**სოციალისტურ პარტიების დეპეშები.**

ორივე სოციალისტურმა პარტიებმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს ბრანტინგს სტოკჰოლმში, „სტანდნინგს“ — კოპენჰაგენში და ტროელსტრა და ჰააგაში: „სოციალისტური პარტია და დამოუკიდებელ ს.-დემოკრატების პარტია ნეიტრალ ქვეყნების სოციალისტურ პარტიების ყურადღებას დაბეჯითებით მიაქცევს და დროებითი ზავის პირობების შინაარსს საიდანაც სჩანს, რომ მოკავშირეებს პოლიტიკურ მოსაზრებით შიმშილობის გაგრძელება და გაძლიერება სწადიათ. თუ ბლოკადა გაგრძელდა, თუ გერმანიის ნაოსნობის შეზღუდვა ასატანია, თუ 5000 ლოკომიტივი და 150000 ვაგონი უნდა გადავცეთ მაშინ, როცა ნახევარი უკვე უვარგისია, თუ უცხოეთის საოკუპაციო ჯარს სურსათი გერმანიის მოსავლიდან უნდა მიეცეს, იმ შემთხვევაში გერმანიის ხალხის სურსათით დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება. ამიტომ საერთაშორისო სოციალისტებს დახმარებას ვსთხოვთ დროებითი ზავის პირობების შესაცვლელად, რომელიც იმპერიალისტურ სახელმწიფოებმა გვიკარნახა და რომელიც დიდ ზიანს მიაყენებს გერმანიის სოციალისტურ სახალხო რესპუბლიკის რევოლიუციონურ მასას. გიძღვნით ძმურ სალამს. სოც.-დემ. პარტიის დამოუკიდებელ სოც.-დემ. პარტიის თავმჯდომარეს მაგიერ: ედუარდ ბერნშტეინი, ოსკოინი, კარლ კაუცკი, გერმან მოლკენბიური, გერმან მიულერი, ვილჰელმ პვინკუხი.

**ბავარიის რესპუბლიკის მოწოდება**

ბავარიის რესპუბლიკამ შემდეგი მოწოდებით მიმართა შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს და თან სთხოვა ეს მოწოდება გაუგზავნოს ვილსონს, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობათ და გაავრცელოს ის როგორც შვეიცარიის, ისე სხვა სახელმწიფოს მცხოვრებთა შორის: „ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობათ და ხალხს, მთელი ქვეყნის პროლეტარიატს. ბავარიის ხალხი პირველი იყო გერმანიაში, რომელმაც იმ პირთა მეთაურობით, რომელნიც ომის დაწყებიდანვე ებრძოდა გერმანიის მთავრობის და პრინცთა თვითნებურ პოლიტიკას, რევოლუციონურ მოძრაობით, რომელიც გამარჯვებით დასრულდა, დაამხო და მოიშორა ყველა და ყველაფერი ის, ვინც ომის დაწყებაში დამნაშავე იყო. ბავარიამ აღიარა თავისი თავი სახალხო სახელმწიფოთ. მთელი ხალხი განუსაზღვრელ სიხარულით შეხვდა განთავისუფლებას. გერმანიის სხვა სახელმწიფოებიც გამოეხმაურა ჩვენს ნაბიჯსდა მხოლოდ ამის შემდეგ პირველად შესდგა ნამდვილად შინაურულად შეკავშირებული გერმანია. ამ მომენტში მას, ახალგაზრდა ბავარიას, მეხივით თავს დაეცა მოკავშირე სახელმწიფოთა დროებითი ზავის პირობები. რევოლიუციის გამარჯვებასთან დაკავშირებული ჩვენი იმედები, შეიძლება ამით გაქრეს. თუ ეს საშიში პირობები უცვლელი დარჩა, იმ შემთხვევაში ახალი რესპუბლიკა უდაბნოდ'ქდა ქაოსად გადაიქცევა. ჩვენ გვესმის მოკავშირეთა გრძნობა, რამაც აიძულა ასეთი პირობების წამოყენება, თუ მათ სურდათ ამით დამნაშავეთა დასჯა.

გერმანიის თვითმპყრობელნი და მილიტარისტები შებრალების ღირსი არ არიან. მაგრამ ახლა ხალხი განთავისუფლდა და ის პირობები, რომელიც განთავისუფლებულ ხალხს წაუყენეს, მის განადგურებას გულისხმობს. ამ მოთხოვნილებათა ძალაში დატოვება წარმოუდგენელ მდგომარეობაში ჩაგვაგდებს. (არ მიგვიღია)

---

# უცხოეთის ამბები

## ფინეთში

პეტროგრადიდან რადიო დეპეშით იტყობინებიან, რომ ფინეთის კაბინეტი თავისი მეთაურით სვინჰუვულით, გადადგა. მის მაგიერ შესდგება ახალი კოალიციური კაბინეტი, რომელშიაც შევლენ სოციალისტებისა და ბურჟუაზიის წარმომადგენელნი.

## ბოლშევიკები პოლონეთში

„გოლ. კიევა“ იტყობინება, რომ ვარშავაში დირექტორიუმი დაარსდა, რომელშიაც შედიან ლაშინსკი, მირაშევსკი, ცილსუდსკი, ტაბუტა და პერელი. გაზეთის სიტყვით მასსაში ძალიან იზრდება რევოლიუციონური განწყობილება და [illegible] მთავრობა უკიდურეს სოციალისტურ კოალიციამ ჩაიგდოს ხელში. ამ კოალიციამ მეტად გააძლიერა თავის მოქმედება, მრავლად შეიძინა მომხრეები, ეწევა დიდ აგიტაციას და თითქმის ყველგან მოაწყო ორგანიზაციები და კომისარიატები, რომ გერმანელების ჯარის წასვლისათანავე ხელმწიფობა ჩაიგდონ ხელში.

## მონარქისტების დახვრეტა.

მოსკოვის „პრავდა“ იუწყება, რომ ტვერის გუბერნიის ვესიეგონსკში დახვრიტეს მონარქისტული ორგანიზაციის „რუსეთის ხსნა“ იაჩეიკა. დახვრეტილ ოფიცერთა რიცხვში არის აგრეთვე გიმნაზიის ყოფილი დირექტორი შრიდერი.

# რ უ ს ე თ ი

**დეპუტატ ტარასოვის დახვრეტა.**

ფრონტის განსაკუთრებულმა კომისიამ კოტელნიჩში დახვრიტა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი ტარასოვი.

**ტ რ ო ც კ ი.**

პეტროგრადში 19 ღვინობისთვეს შესდგა ჯარში გაწვეულ წითელ-ლაშქრელ მეზღვაურების მიტინგი. ამ მიტინგზე ილაპარაკა ტროცკიმ და სთქვა: საბჭოს მთავრობა ძლიერია, პუანკარე, კლემანსო და ვილსონი ჩვენ ვერ შეგვაშინებენო.

**ტროცკის ოპტიმიზმი**

სოვდეპის სხდომაზე ტროცკიმ განაცხადა, რომ ურალის ფრონტი ეხლა კარგ მდგომარეობაშია. უფა და ორენბურგი ამ დღეებში დაეცემა, ეკატერინბურგის დაცემაც გადაწყვეტილია.

**გ. ი. სკობელევი.**

შრომის ყოფილი მინისტრი მ. ი სკობელოვი, რომლის დაპატიმრების შესახებაც ამას წინად გაზეთები გვამცნობდნენ, ეხლა კიევის საქართველოს დიპლომატიურ მისიაში შეუდგა მუშაობას.

**მეფის ოჯახის ბედი.**

„რუს. გოლ.“ გადმოცემით რომის პაპამ ავსტრო-ჰუნგრეთის საშუალებით შეკითხვით მიმართა საბჭოთა მთავრობას მოსკოვში თუ რა პირობებში არიან ყოფილი დედოფალი და მისი ქალები.

ამ შეკითხვაზე უპასუხეს, რომ საბჭოს მთავრობამ არ იცის სად იმყოფებიან ყოფილი დედოფალი და მისი ოჯახი.

**თერგის ოლქის უმაღლეს მთავარსარდლის სიკვდილი**

29 ღვინობისთვეს სად. სემაშკინთან ყაზახებთან ბრძოლის დროს დაიჭრა თერგის ოლქის საბჭოთა მთავრობის ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი მიტიაევი. იგი კავკავის მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

# ადერბეიჯანში

განჯიდან იტყობინებიან, რომ ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრებში აღკრძალულია გაყიდვა ყველა სომხური გაზეთებისა.

—

ადერბეიჯანის წარმომადგენელი საქართველოში იტყობინება, რომ მაჰმადიანთა ეროვნული საბჭო, რომელიც ამ წლის თიბათვეში გადააყენეს განჯაში, 16 გიორგობისთვეს ხელახლად შეიკრიბება ქ. ბაქოში, როგორც ადერბეიჯანის რესპუბლიკის პარლამენტი.

# სომხეთში

რადგანაც სომხეთის ტერიტორიაზე ხოლერის ეპიდემია მოისპო, გაუქმებულ იქმნა ხოლერის წინააღმდეგ ყველა მებრ[illegible]ლი ორგანიზაციები და მთავარი კომიტეტიც.

---

# ქართველი ისრაელები და სიონისტები

6 ენკენისთვის სხდომაზე პარლამენტმა თანახმად ქართველ ისრაელთა სურვილისა, ქართველ ისრაელთა წარმომადგენლობას დაუდვა სარჩულად რელიგიური და არა ეროვნული პრინციპი. ეს მისთვის, რომ როდესაც კი წამოიჭრა საქართველოში ეროვნულ დიფერენციაციის საკითხი, ქართველი ისრაელები მტკიცედ ამოუდგნენ ქართველობას (როგორც 1917 წლის 19 გიორგობ.).

ქართველ ხალხს ქართველ ისრაელებთან აერთებს არა მარტო ტერიტორიული ფარგლები. ჩვენში მრავალი ტომი ცხოვრობს, მაგრამ სად იგინი ქართულ პოლიტიკურ აზრისათვის და სად ქართველ ისრაელების ხმა, რომელიც სამის საუკუნეთა სივრციდან. და ეს ხმა ძლიერია მისთვის, რომ დარხეულია საქართველოში. არც ერთ ისტორიულ მომენტში, არც ერთ გარდატეხისას არ დაკარგულა ხმები ქართველ ისრაელთა და ქართველ ქრისტიანებისა. და იგი ერ-

თობა ვერ შეასუსტა ვერა რა ძალამ ვერც რუსეთის, ვერც რუსეთიდან სიონისტების მიერ გამოგზავნილმა ფულმა და ინსტრუქციებმა.

ამის გამო მტკიცედ ვადასტურებთ: საქართველოს პარლამენტმა ულრმესი პატივისცემა დაამტკიცა ქართველ ისრაიელების მიმართ, როდესაც დააკანონა: ქართველ ისრაიელთათვის 2 წარმ. ებრაელებისთვის—1 წარმ,

ამ კანონის გაცნომისთანავე სიხარულთან ერთად წარმოვიდგინეთ სიონელ ლიდერის დოქ. შტრეინერის გაბრაზიანებული სახე, წარმოვიდგინეთ ისიც, რომ ბრაზის გამომწვევი აზრი მყისვე იფრენდა სხვა და სხვა ინსტრუქციებთან ერთად ჩვენს დაბებში, ქალაქებში, სადაც კი სცხოვრობენ ქართველი ისრაელები.

თბილისში არსებობს უცნაური ეროვნული საბჭო თბილისელ ებრაელთა. ბ. მ. შტრეიხერმა არც აცივა, არც აცხელა და შეკითხვით მიმართა თბილისის ებრაელთა ეროვნულ საბჭოს, თუ რით აპირებს იგი გამოაცხადოს ებრაელთა მთლიანობა საქართველოში. საბჭომ, რომელიც უფრო სიონისტურ ორგანოს მოგვაგონებს, ვიდრე პირუთვნელ კრებულს. ერთხმად (იქ არიან ბუნდისტებიც, უპარტიონიც, ფოალე-ციონისა და ცეირეციონის ფრაქციებიც და სხვ.) განაცხადა თავისი გულის წყრომა ასეთი კანონის გამოცემის გამო და შეუდგა დამსხვრეულ ილიუზიების აღდგენას. ამ მიზნით დანიშნული იყო ებრაელთა კონფერენცია, რომელიც უნდა შემდგარიყო ებრაელთა ეროვნულ საბჭოების დელეგატებისაგან, თუმცა ასეთები, გადაჭრით ვამბობთ, ერთიც არა ჰყავს ქართველ ისრაელებს; დიდის ჯახირით „შესდგა" კონფერენცია 18 ღვინობისთვეს.

ჩვენ ვიცით რას წარმოადგენდა ეს „კონფერენცია" და როგორის წესით მოიწვიეს ახალციხის რაბინი, ცნობილი სიონელი დ. ბაზოვი, მოულოდნელად ონის ისრაელთა მანდატით წირსდგა კონფერენციაზე და ისიც ვიცით, რომ ამომრჩეველიც თვით იყო და არჩეულიც. ამისდამიუხედავათ „კონფერენციამ" არა თუ იცნო მისი „მანდატი", არამედ „დეპუტატათაც კი აირჩია საქართველოს პარლამენტში.

არ ვიცით საიდან გაჩნდენ „კონფერენციაზე" ყვირილისა და ლანჩხუთის დელეგატები, მაგრამ ის კი ვიცით, რომ არც ერთ ამ ადგილებში არც ერთი ქართველი ისრაელი, არც რუსეთელ ებრაელი არა სცხოვრობს.

ჩვენ ვიცით როგორ გამოგზავნეს ქუთაისის ისრაელებმა დელეგატები ამავე „კონფერენციაზე": ექიმ კაკიტელაშვილის თავმჯდომარეობით როგორ შეიყარა თავი 25—30 კაცმა, ამათ შორის ზოგი უწლოვანი მოწაფეები იყვნენ, ზოგი ახლად გამოჩეკილი ზოგიც სრულიად გამოუჩეკელი სტუდენტები და ამ რიგად „გაგზავნეს კონფერენციაზე კაცები". ასევე მოხდა, ეჭვს გარეშეა, სხვა ადგილებშიც და ასე შესდგა „ებრაელთა კონფერენცია".

„კონფერენცია", პერსონალურად სიონისტური გამოდგა და ნაყოფიც სათანადო გამოიღო.

მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციაზე შეცდომით დამსწრე ასასიონიელმა დელეგატებმა გულისწყრომით დასტოვეს დარბაზი, კონფერენციამ მაინც აირჩია „საქართველოს პარლამენტსს სამი დეპუტატი": ექ. მ. შტრეიხერი, რაბინი დ. ბააზოვი და ექ. ბ. კაკიტელაშვილი.

ამრიგად გაამასხარავეს სიონისტებმა თვისი თავიც, რუსეთის ებრაელებიც, ქართველი ისრაელებიც, მაგრამ პარლამენტმა დაიცვა თვისი ღირსება. მან უზრდელ არჩევნებს ზრდილობიანი უარით უპასუხა.

აი ის ტრაგი-კომიკური პროცესი, რომელიც განიცადა ამ კონფერენციამ და რომლის წინაშე გუნდრუკს აკმევენ სიონელები დღესაც.

ჩვენ არას ვიტყვით იმ ტრაბახზე, თითქოს მათ 300 წევრი ჰყავდეთ ქუთაისის ორგანიზაციაში. საკმარისია მხოლოდ მოვაგონოთ მათ, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს მათ მიიღეს ქ. ქუთაისში მხოლოდ 63 ხმა, ისიც „ნიკოლოზ 1-ლის სალდათებისა".

ნუ თუ არა სცხვენიანთ როცა თვის მოწოდებებში ხალხისადმი სწერენ, რომ ისრაელის რჯულს მხოლოდ სიონისტები იცავენო, ნუ თუ დიდხანს გასტანს მათი მავნე ავანტიურა? ამავე დროს კი თვის საარჩევნო მოწოდების კუთხეში მორცხვად და შეუმჩნევლის ასოებით სწერენ: „გაუმარჯოს სოციალიზმსო".

კაი თუ ქართველი ისრაელების რისხვამ გაგაქციათ ზოგი ბელოსტოკში, ზოგი გომელ-კიშინიოვში და თქვენ მიერ აცერცეტებული ბავშვები კი უხელმძღვანელოდ დაგრჩეთ?

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ის ორგანიზაციები რომელთაც მთელი ქართველი ისრაელების სახელით გაგზავნეს დეპუტატები პარლამენტში სამუშაოთ, სიონისტებისებურ-დაშნაკურ პოლიტიკას, ისიც უხეიროდ გადალებულს, არ აწარმოებენ და ეწევიან ჩუმსა და არა მყვირალა მუშაობას.

შემდეგ წერილში ვეცდებით შევეხოთ ამ ორგანიზაციათა მუშაობას და მათი უფლება მოსილების კითხვას დეპუტატების არჩევნებში.

**იოსებ ხანანაშვილი.**

## ავათმყოფობის გავრცელება.

ქ. თბილისში 4—7 ნოემბრამდე ხოლერით ავად გახდა 5 კაცი, რომელთაგან 4 გარდაიცვალა.

—

ქ. სიღნაღის მაზრის ერობის განკარგულებაში, თანახმად სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარის თხოვნისა, ქ. სიღნაღში გაიგზავნა 5 ექიმი და 5 ფერშალი ინფლუენციის ეპიდემიის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

—

ქ. ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს საექიმო განყოფილება იტყობინება, რომ 15—22 ოქტომბრამდე ხოლერით ავად გახდა 18 კაცი. სოფ. დვაბზუში—12 კაცი, ს. ჭალაში 5 კაცი, ს. ლიხაურში—1 კაცი.

—

საექიმო სასანიტარო განყოფილების მე-5 სამკურნალო ბანაკში, რომელიც ქ. ხაშურში იმყოფება, ღვინობისთვეში გადამდები სენით წოლილა ხოლერით —8 კაცი, მუცლის სახადით—12, წინწკლოვანი სახადით—3, ფილტვების ანთებით 5, ინფლუენციით—7, სულ 50 კაცი; ენკენისთვიდან დარჩენილი 17 ავადმყოფი იყო. სულ 67 კაცი, მათგან მომკვდარა—16 კაცი, მორჩენილა—34, დარჩენილა საავადმყოფოში 17 კაცი. ბანაკის გამგე ექიმი იტყობინება, რომ გადამდები სენით ავადმყოფთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

## ერობა

### არჩევნები

დუშეთიდან საერობო კომისიის თავმჯდომარე დეპეშით აცნობებს მთავარ საერობო ინსტრუქტორს, რომ პოლიტიკურ პარტიათა მიერ წამოყენებული კანდიდატები თანხმობას აცხადებენ; ფედერალისტთა სიაში მაყაშვილის შეტანა კომიტეტმა შესაძლებლად დაინახა და არჩევნებიც გრძელდება, გათავდება სამ დღეში. მაზრის საერობო ინსტრუქტორი დ. ჩხეიძე არჩევნების გათავების შემდეგ გამგზავრება თიანეთის მაზრაში ერობის შემომღებ კომისიების მოსაწყობად და არჩევნებისათვის წინასწარ მუშაობის გასაჩაღებლად.

**რაჭა-ლეჩხუმი**

როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს ამ ორ მაზრაში ანარქიის ლიკვიდაციის და ადმინისტრაციულ აპარატის მოწყობის შემდეგ იქ დაწყებულა ენერგიული მუშაობა ერობის საჩქაროდ შემოსაღებად. რაჭის მაზრაში წინასწარი სამუშაო თითქმის გათავებულია და ახლო მომავალში შესაძლებელია არჩევნების დაწყება. ლეჩხუმის მაზრაში მუშაობას აფერხებს ინტელიგენტურ ძალების სიმცირე. ამ მხრით მთავარ ინსტრუქტორისაგან მიღებულია ზომები იმ სახით, რომ უკანასკნელმა მიმართა თხოვნით ქუთაისის საერობო კომისიას, გაუგზავნოს ლეჩხუმში მომზადებული ინსტრუქტორი.

**შორაპნის ერობა**

ქუთაისის გუბერნიის კომისარი ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგს: „შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობამ, თანახმად ამავე ერობის ხმოსანთა ყრილობის დადგენილებისა, 13 ღვინ. 1918 წ. აღძრა ჩემს წინაშე შუამდგომლობა რათა მოვახდინო ჯეროვანი განკარგულება მათთვის 30000 მან. კრედიტის გახსნისა და ამ ფულის გადმოსაგზავნად ქ. ყვირილის ხაზინაში აღნიშნულ ერობის სახელზე. თანხა ესაჭიროება გამგეობას სხვა და სხვა წინასწარი ხარჯების დასაკმაყოფილებლად. მოგახსენებთ რა ამ გარემოებას და ვიღებ რა მხედველობაში, რომ კრედიტის გახსნა შეადგენს სამინისტროს უფლებას, ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე დააკმაყოფილოთ ეს თხოვნა.

**ოზურგეთის ერობა.**

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა ატყობინებს ქუთაისის გუბერნიის კომისარს, რომ თანახმად საერობო ხმოსანთა პირველი ყრილობის დადგენილებისა, 7 გიორგობისთვეს მან აღძრა შუამდგომლობა კომისარის წინაშე, რათა გამგეობას დაჩქარებით მისცემოდა ხაზინიდან 20.000 მანეთი საკანცელარიო და საორგანიზაციო ხარჯებისთვას. ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა უგზავნის ამ შუამდგომლობის ასლს გუბ. კომისარს და სთხოვს მას აცნობოს გამგეობას. რა განკარგულება მოხდა ამ შუამდგომლობის შესახებ.

ქუთაისის გუბერნიის კომისარი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს. დააკმაყოფილოს ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის ძოთხოვნილება.

**წვრილი ერთეული**

წვრილი საერობო ერთეულების კომისიის სხდომა. ქუთაისის ერობის ბინაზე მოხდა წვრილი საერობო ერთეულების კომისიის სხდომა. კრებამ იქონია თათბირი წვრილი ერთეულების შესახებ და დაადგინა: წვრილი ერთეულების შექმნას საფუძვლათ დაედება ძველი საზოგადოების ფარგლები, დს ზოგ ადგილას მოხდება გადამიჯვნაც, თუ ამას მოითხოვს ადგილობრივი გეოგრაფიული პირობები. წვრილ ერთეულების ფარგლებში უნდა შედიოდეს არა ნაკლები 3000 კომლისა. თუ ზოგიერთი სოფლები მოინდომებენ, ცალკე წვრილი ერთეულების შექმნას, შეიძლება იმ შემთხვევაში თუ ეს სოფელი გასწევს მთელ ხარჯებს; მას დაამტკიცებს სამაზრო ერობა. (საქ. რ.).

## მგზავრობის დღეები

### გარეთ-კახეთი.

გარეთ-კახეთის ჩრდილო საზღვარი უსაცილოდ არის ს. მანავი რომელიც ჰერეთის მთის ძირს არის გაშენებული. სოფელი ვრცელია გარნა თავის მოვლა ვერ უდვია და მრავალი უსიამოვნო სურათი გეცემათ თვალში. სკოლა, სამკითხველო, წყალი და სხ. მოუკითხავია. სოფელს არა ჰყავს ქომაგი და მზრუნველი რაც დიდად სამწუხაროა. მანავის ჰავა კეთილია უფრო კი ზამთარს. დავით იმანყულიხანმა (კახთა მეფე 1702 წლიდან) აქ ააშენა ტურფად ნაგები სასახლე საზამთროდ, რომლის ნაშთები ახლაც იხილვება. აქვეა ძველი ციხე შემუსვრილი, გარნა მტკიცე ფუძეებით. ბატონიშვილი ვახუშტი კეთილობით" იხსენიებს მანავის ღვინოს, რომელიც არც დიდი ხარისხის ღირსია. მანავი ბრძოლის ასპარეზად იყო კახთა მეფეების დროს, ქალაქად როგორც ჰგონებენ არ ყოფილა. ირაკლი მეორის დროს მანავი ცალკე სამოურავოს შეადგენდა. სოფელს წინ გადაჭიმული აქვს ნაყოფიერი სახნავები და ხილიანი ვენახები. სოფელი საქონლის მოვლასაც მისდევს ოღონდ წყლის უსაკმარობით შემჭირნეობს.

მანავშია სახელგანთქმული კალოუბანი, რომლის დღეობასაც გარეთ-კახეთი არ აკლდება. ერეკლე მეორის დროს მანავი ცალკე სამოურაოდ ითვლებოდა. სოფლის გარშემო, როგორც ყველა ქართულ სოფლებში მრავალი ნაშთებია: ეკლესიები, ნიშები, ნასახლარები და სხ. ნასახლარებში ყოველთვის ლამაზია სამტრედო სახლები. წარსულ საუკუნეს გარედ-კახეთში მისდევდნენ მტრედის მოშენებას. არის გადმოცემა, რომ ერთი გლეხი დაუხვდა ირაკლის ჯარს და ვახშმად თითოს ორ-ორი შემწვარი მტრედი მიართვაო. მტრედის მოშენებას დღეს აღარ მისდევენ.

აქვე ვანხე ძვირფასი ცხენი მერანი, საუკეთესო ჯიშის. ქართული კავალერია მუდამ გარედ-კახეთიდან გამოდიოდა. კრწანისში თ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის გადმოცემით გარეთ-კახეთის ცხენოსანმა ჯარმა თავი დიდად ისახელა.

ამბობენ აქეთ დიდი ქალაქი ყოფილიყოს, და რასაკვირველია, ალაზნის შესართავიდან ვიდრე სამგორამდე დიდი ნაშენობა ყოფილა, რომელიც „მოოხრდა გამოსვლასა ბერქასსა და შემდგომად ლანგთემურისაგან. შემდეგ მოსახლეობისთვის ვახუშტი ამბობს: „შემდგომად დასხნეს ელნი ამათ ადგილთა აწინდელთა მეპატრონეთა, ვითარცა ბატონმან თეიმურაზ და ხანებმან, და სთესდენ ესენი ყოველსავე და ესენიცა წარიყვანა შანადირმა და დასხა ხორასანს".

გარეთ-კახეთის ნახევარი თითქმის სულ დაუსახლებელი იყო წარსულ საუკუნეს. შაჰაბაზმა მთელი კუთხე აჰყარა და ფერეიდანში გადაასახლა.

თეიმურაზ პირველმა გადასცა „ყოველი იორის პირი" უნდილაძეს, რომელიც შაჰ-აბაზის რისხვას ემალებოდა აოხრებულ კახეთში.

ბ.

## თეატრი და მუსიკა

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალი დასი.** ორშაბათს, გიორგობისთვის 18-ს სახელმწიფო თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალი დასი ჰხსნის თავის სეზონს. წარმოდგენილ იქნება **„სარწმუნოება"** მუსიკალური დრამა 5 მოქმედებად ბრიესი. პიესა რამდენჯერმე იქნება წარმოდგენილი სხვა და სხვა ანსამბლით. შემდეგ დაიდგმება „ღალატი", „ბურუსი", „მსხვერპლი", „ვითა ფოთლები" და სხვა.

**„ტარტო"** დღეს თბილისის სცენაზე პირველად იდგმის მხიარული კომედია „ქალები და ღვინო" მთავარ როლებს ინაწილებენ ქ. არღუთინსკიკოზლოვისა, კრაევსკაია, კოშევა, დიმოვი, ნიროვი, პერსიონი და სხ. შაბათს ა. სუმბათაშვილის „ჯენტლემენი". კვირა დილით შიდლერის „ცბიერობა და სიყვარული".

**რუსული ისტორიული კონცერტი** გაიმართება სახალხო კონსერვატორიაში კვირას, 17 გიორგობისთვეს. უკვე გამოცხადებულ მონაწილეთა შორის კიდევ გამოვლენ; ქ.ქ. კეპინოვისა, სხარსკაია, პოლიაევა—დიუბინა, ბაშკინა, პროფ. ი. აისბერგი. კვლავ პიონისტები ვ. ბერხმონი და ნ. ვიგოდსკი (აკკომპანიმენტი).

**სასცენო ხელოვნების სტუდია** ი. ლვოვის, ნ. მიხაილოვსკის და ა. პეტროვსკის. „სტუდიაში" დიდი მუშაობაა. ემზადებიან დახურულ საღამოსთვის რომელსაც მხოლოდ მოწვეულთათვის გაჰმართავენ. საღამოს პროგრამაში შევა ნაწყვეტები პიესებიდან (კლასი გ. რახსონოვის და ნ. მიხაილოვსკის) ნამუშავარი დიქციიდან, (ე. სატინის და ლ. რეიჰშტალტის კლასი) იმპროვიზაცია (ვლ. ვ. ყუშიტაშვილისა), ცეკვა, კენწლაობა. „სტუდიაში" მიღება გრძელდება.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ განაცხადოთ შემდეგი:— ვიპოვე ქალის საფულე, რომელშიც აღმოჩნდა სამი ათასი მანეთი ფულად, სურათი, ბანკის ბარათები და ღია წერილი შემდეგი მისამართით: თფილისი, პირველი ცხენოსანი პოლკი ვეფხო-ფშაველას. რადგანაც ძნელია პატრონის პოვნა ამიტომ, გაზეთის საშუალებით ვთხოვ პატრონს შემოიაროს ჩემთან პატრონის გამოსარკვევად, დღის 2—5 საათ. ვაცხადებ, ამასთანავე რომ ამ ფულიდან ათასი მან. გადაიდება, (როგორც დღეს ჩემს საკუთრებას წარმოადგენს) ამავე გაზეთის სასარგებლოდ თუ ქ-ნი თამარიც დათანხმდა. (თამარი პატრონის სახელია). მისამართი: მიხეილის პრ., № 116.

გთხოვთ საჩქაროდ გამოაცხადოთ ეს ცნობა, რადგანაც ამ ორ დღეში ქუთაისში ვაპირებ გამგზავრებას.

ექ. დიასამიძე.

## ჩვენი ფოსტა

დ. ზესტაფონი. ვ. ს ძეს. კორესპოდენციები გვიგზავნეთ.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.


## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თბილისიდან გადის

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

თბილისში მოვა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

## კერძო სამკურნალო

[illegible]

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9 11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ [illegible] 606—914 [illegible] ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იშხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტეოროლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ევზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი **ა. დ. ალექსიძე.**

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
**ქირ. და ქალთა სნეულების**
**სააავათმყოფო**
**სამშობიარო განყოფილებ.**

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**
**ალექსანდრე დავითის ძის**
**ქექილიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**
**სამკურნალო**
**[illegible]**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება— საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

[illegible]

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—50

**ექიმი**
**ნ. ი. დემეტრაძე**

იღებს შინაგან და სადოსტაქრო ავადმყოფებს ყოველ დღე 3—6 ს. წყნეთის ქუჩა № 25. (14—1867—1)

**მედიცინის დოქტორი**
**ბერლინის უნივერსიტეტისა**
**გ. გ. მეგრაბიანცი**

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის— ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**გაიხსნა**
**თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფონი 5—97.

**ექიმი**
**გ. წინამძღვრიშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

**დოქტორი მედიცინისა**
[illegible]
**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
**ალ. ასათიანის ნაწერი**
**მიწის საკითხი**
**საქართველოში**
წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში. (10—10)

კვირას, გიორგობისთვის 17-ს გამოვა
**ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატების**
**ორ-კვირეული ჟურნალი**
**„ახალი ძალა"**
**ფასი ორი მანეთი**
რედაქტორობს კოლეგია


სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გამყიდვის შესახვევი № 1.